დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2024 წლის 19 თებერვლის N02-01-29 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის „აისი“ მიერ

კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევის წესი

2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ (შემდგომში - კოლეჯი),, კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევის წესი” შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 2. პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლების მქონე სუბიექტები

1. კოლეჯთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს მეწარმე სუბიექტს / იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს;
2. კოლეჯთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს.

   ა. აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

   ბ. მისი ადამიანური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

   გ. მისი მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

   დ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.
3. კოლეჯის მიერ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ სუბიექტს ეწოდება პრაქტიკის ობიექტი.

4. პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელიც დააკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს, კოლეჯი აფორმებს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას,კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
5. კოლეჯი შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში (დარგობრივი უნარების ორგანიზაციების რეესტრში) განათავსებს პრაქტიკის ობიექტის შესახებ ინფორმაციას, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების პროცესში (ელექტრონული სისტემის შექმნამდე შესაბამისი საქმისწარმოება განხორციელდება მატერიალური ფორმით).

მუხლი 3. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში ჩართული პრაქტიკის ობიექტის უფლება-მოვალეობანი

1. კოოპერაციული სწავლების პროცესში ჩართული პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია:
   ა. კოლეჯთან ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში შეარჩიოს აპლიკანტები;
   ბ. ჰყავდეს განსაზღვრული სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს:ჩანაწერების ჟურნალში არსებული ჩანაწერების სისწორესა და მისი შეფასებების საფუძველზე კოლეჯის პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას/უარყოფას;
   გ. საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერა გაუწიოს კოლეჯს შუალედური შეფასებებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესში, გამოყოს უფლებამოსილი პირი საგამოცდო კომისიის დაკომპლექტების პროცესში.
2. პრაქტიკის ობიექტი უფლებამოსილია კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთან გააფორმოს ხელშეკრულება.

მუხლი 4. კოლეჯთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტის მიერ შერჩევის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი

1. **კრიტერიუმი 1** - აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია.

კრიტერიუმის შეფასება - კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ კომპანია, პროგრამის განხორციელებაში ჩართვის სურვილს გამოხატავს, კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმების გზით, სულ მცირე პროგრამის ხანგრძლივობის ვადით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რომ კომპანია აცნობიერებს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და აქვს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია.

2. **კრიტერიუმი 2** - მისი ადამიანური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებთან და სწავლის შედეგებთან.

კრიტერიუმის შეფასება - კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ კომპანიის ადამიანური რესურსი შესაბამისობაში იქნება პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან. აღნიშნულის მიზნით, კომპანიამ ამ წესის დანართი #1-ის სახით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორის/ების შესახებ.

3. **კრიტერიუმი 3** - მისი მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებთან და სწავლის შედეგებთან.

კრიტერიუმის შეფასება - კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ კომპანიის ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში იქნება პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან. აღნიშნულის მიზნით, კომპანიამ უნდა შეავსოს მის მფლობელობაში არსებული, პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების ჩამონათვალის დანართი #2.

4. **კრიტერიუმი 4 -** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

კრიტერიუმის შეფასება - კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ კომპანია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯს წარმოუდგენს ლიცენზიას/ნებართვას ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება

1. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებაში ასახული უნდა იყოს:
   ა) სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
   ბ) პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
   გ) სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;
   დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის;
   ე) პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
   ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ;

ზ) ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროფესიული სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
თ) პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში, ასევე აღნიშნულ პროცესებში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმებს (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა);
ი) სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;
კ) ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;
ლ) სასწავლო საწარმოს/დაწესებულების სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1.წინამდებარე წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებს ან/და დამატებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დანართი N1. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორის/ების შესახებ

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორის/ების შესახებ	
კომპანიის დასახელება და მისამართი	
პრაქტიკის განხორციელების ადგილი	
პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორის სახელი და გვარი	
ინსტრუქტორის განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება	
ინსტრუქტორის თანამდებობა კომპანიაში	
საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მეილი)	
პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია კომპანია	
მოდულის(ების) / სწავლის შედეგის(ების) დასახელება რომელიც განხორციელდება კომპანიაში	

დანართი N2. კომპანიის მფლობელობაში არსებული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი

კომპანიის მფლობელობაში არსებული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი		
ლოკაცია		
რეგიონი	**რაიონი/მუნიციპალიტეტი**	**მისამართი**
აღჭურვილობები		
დასახელება	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**